



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

18 თებერვალი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 18

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“-სათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაკმაყოფილდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“-ს დირექტორის მარინა თოფურიას (პირ:№01026017063) მოთხოვნა (რომელმაც მოითხოვა სარგებლობის უფლებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთის ანასეულში მდებარე ყოფილი ბავშთა-ბაღის შენობა I სართული 304,68კვმ. და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ფართით 2058კვ.მ., სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი №50, ნაკვეთი №012, განაცხადის რეგისტრაციის №882011044767, მომზადების თარიღი 04/02/2011) და გადაეცეს სარგებლობის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით სასყიდლიანი უზუფრუქტით პირდაპირი განკარგვის წესით, ხანდაზმულთა თავშესაფარის ფუნქციონირებისათვის.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი